განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეტეოროლოგია, კლიმატოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

შეფასების თარიღ(ებ)ი 12.12.2017

დასკვნის წარდგენის თარიღი 24.01.2018

თბილისი
2017

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	231187168
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია
განათლების საფეხური	მაგისტრატურა (II საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	გეოგრაფიის მაგისტრი 0505
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული 03.01.2013 წელს, გადაწყვეტილება №12.

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნოდარ ფოფორაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიკა ტატიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ჭითაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მეტეოროლოგია და კლიმატოლოგია“ შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან. პროგრამით გათვალისწინებული 120 კრედიტი ნაწილდება 2 სასწავლო წელზე, 4 სემესტრად. ერთი სემესტრი მოიცავს 18 სასწავლო კვირას. 1 კრედიტი უტოლდება სტუდენტის მუშაობის 25 საათს. პროგრამა

შეიცავს 3 ძირითად მოდულს და არჩევით კურსებს. I სემესტრში მაგისტრანტები სწავლობენ კურიკულუმისთვის სავალდებულო სასწავლო კურსებს – უცხო ენას (5 კრედიტი) და საინფორმაციო ტექნოლოგიებს (5 კრედიტი), აგრეთვე ზოგადი მეტეოროლოგიის მოდულის საგნებს: ატმოსფეროს ფიზიკა, სინოპტიკური მეტეოროლოგია, მეტეოროლოგიური ხელსაწყოები და დაკვირვებათა მეთოდები და მონაცემთა მათემატიკური დამუშავების მეთოდები (თითოეული 5-5 კრედიტი). II სემესტრში სტუდენტები აგრძელებენ უცხო ენას (5 კრედიტი), აგრეთვე სწავლობენ მეცნიერების ფილოსოფიის ძირითად ასპექტებს (5 კრედიტი) და - კლიმატის და კლიმატის ცვლილების მოდულის შემდეგ საგნებს: კლიმატის ცვლილება, დედამიწის კლიმატი, კლიმატური რესურსები და გაივლიან საველე პრაქტიკას მეტეოროლოგიაში (5-5 კრედიტი). III სემესტრში მაგისტრანტები შეისწავლიან ეკოლოგიის მოდულის საგნებს: ზოგადი გეოეკოლოგია და ანთროპოგენური ზემოქმედება ატმოსფეროზე, და არჩევითი კურსებიდან 4 სასწავლო კურსს: ლანდშაფტების ეკოლოგია, ზღვის ეკოლოგია, მთის კლიმატოლოგია, ატმოსფეროს ეკოლოგია, ამინდის სტიქიური მოვლენები, გარემო და მდგრადი განვითარება და გეოინფორმაციული სისტემები (5-5 კრედიტი). კურიკულუმში სემესტრების მიხედვით გაწერილი სასწავლო კურსების შესწავლის ლოგიკურ დასასრულს წარმოადგენს IV სემესტრში სამაგისტრო ნაშრომის (30 კრედიტი) მომზადება და დაცვა, რომელიც ეფუძნება მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში შეძენილ ცოდნას. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა - კვლევების დამოუკიდებლად ჩატარების საშუალებაა, რომელთა შედეგებს შეუძლია არსებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საგრძნობი გაღრმავება.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2017 წლის 12 დეკემბერს შედგა ექსპერტთა ვიზიტი იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამის, „მეტეოროლოგია, კლიმატოლოგიის“, შესაფასებლად.

ვიზიტამდე შესწავლილ იქნა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისი დოკუმენტაციით, პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშით, სილაბუსებითა და სხვა დოკუმენტაციით. ვიზიტისას შედგა ინტერვიუები უნივერსიტეტის რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის დეკანთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, ძირითად და მოწვეულ სასწავლო პერსონალთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან, „მეტეოროლოგია, კლიმატოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „მეტეოროლოგია, კლიმატოლოგიის“ ყველა კომპონენტის შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტებით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. იგი ნაწილობრივ შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერთან. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ადამიანური რესურსები უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი, დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული კადრის მომზადებას.

- **რეკომენდაციები**

1. პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის კარგი იქნება დამსაქმებლისა და სტაჟირების განმახორციელებლების მეტი ჩართულობა სასწავლო პროცესში;
2. სასურველია პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება სასწავლო პროცესში, რასაც დამსაქმებელიც ითხოვს;
3. სასურველია გადაიხედოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ფორმულირება, კერძოდ, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის, დასკვნის უნარისა და ღირებულებების გაწერისას გამოყენებული გადამეტებული ფორმულირება შეიცვალოს სპეციალობისათვის უფრო ზომიერი ფორმულირებით;
4. ექსპერტთა რჩევაა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ იზრუნოს კვლევითი და საველე კომპონენტისათვის საჭირო თანამედროვე საზომი ხელსაწყოების შეძენაზე;
5. სასურველია, კვლევით აქტივობებში სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის აქტიურად ჩართვის უზრუნველყოფა;
6. სასურველია, დამსაქმებლების უფრო აქტიურად ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში, რაც გამყარებული იქნება შესაბამისი მემორანდუმებით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1 სასურველია ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობის ხარისხის შემდგომი გაძლიერება, რაც გულისხმობს კოლაბორაციას მეტ უნივერსიტეტთან და კვლევით ორგანიზაციასთან;
2 სასურველია მემორანდუმებსა და ხელშეკრულებებში სტუდენტთა პრაქტიკებისა და სტაჟირების მეტად ასახვა;
3 ზოგიერთ საგანში მიზანშეწონილად მიგვაჩნია ლიტერატურის განახლება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დეპარტამენტის 2016 წლის 20 სექტემბრის სხდომის ოქმის დადგენილების შესაბამისად;
4 სასურველია სტუდენტების მეტი ნაწილი იყოს ინფორმირებული უფასო ელექტრონული ბიბლიოთეკის სისტემის შესახებ;
7. მართებულად არ მიგვაჩნია მაგისტრატურაში ერთი აკადემიური პერსონალის მიერ შვიდზე მეტი სილაბუსის ავტორობა;
8. სასურველია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს უფრო მკაფიო ხედვა აკადემიური პერსონალის განვითარებისთვის;
9. კარიერული განვითარების ცენტრის დაარსება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

წინა აკრედიტაციის შემდეგ განახლდა კომპიუტრეული კლასები და აღიჭურვა შესაბამისი ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფით. განახლდა რამდენიმე სილაბუსი, შეივსო აკადემიური პერსონალი. წინარე აკრედიტაციის დასკვნაში შენიშვნებისა და რჩევების არარსებობის გამო, პროგრამის პროგრესი სათანადოდ ვერ შეფასდა.

- ## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „მეტეოროლოგია, კლიმატოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რომელიც შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერთან, ჩამოყალიბებულია ლოგიკურად და ნათლად, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია. პროგრამაში სასწავლო კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე იყვნენ მოთხოვნადნი და კონკურენტუნარიანი. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა მრავალპროფილიანი, სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლების ბაზაზე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება/გადამზადება, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო/კვლევითი საქმიანობის განხორციელება, ევროპის ერთიან უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია. უნივერსიტეტი თავის მისიას ახორციელებს: 1) საერთაშორისო სტანდარტების, ბოლონიის პროცესის მოთხოვნათა შესაბამისი სამსაფეხურიანი საგანმანათლებლო და პროფესიული განათლების პროგრამებით; 2) ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო კვლევებითა და პროექტებით; 3) რეგიონისათვის დამახასიათებელი პრიორიტეტებით; 4) განვითარებული სასწავლო და სოციალური ინფრასტრუქტურით, მატერიალური ბაზითა და ეფექტური საფინანსო მენეჯმენტით; 5) კურსდამ-თავრებულებით, რომელთა დონე შეესაბამება შრომითი ბაზრის მოთხოვნებს. უნივერსიტეტს გააჩნია პოტენციალი, სწორი სტრატეგიის ამუშავების შემთხვევაში გახდეს ქვეყნისა და რეგიონის ლიდერი „მეტეოროლოგიისა და კლიმატოლოგიის“ დარში სპეციალისტების მომზადების საქმეში, მით უმეტეს, რომ საქართველოს სხვა უნივერსიტეტებში ანალოგიური პროგრამა არ ხორციელდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია; 2. „მეტეოროლოგია, კლიმატოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; 3.ინტერვიუ უნივერსიტეტის რექტორთან; 4.ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან; 5.თანამშრომლობის ხელშეკრულება ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„მეტეოროლოგია, კლიმატოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტის შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტებით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

მსგავსი საგნების სწავლის მეთოდები უნიფიცირებულია. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, საიდანაც 90 კრედიტი ეთმობა პროგრამის სასწავლო კომპონენტს, აქედან 70 კრედიტი სავალდებულოა, ხოლო 20 კრედიტი არჩევითია. 30 კრედიტი გათვალისწინებულია კვლევითი კომპონენტისთვის, რაც ეთმობა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას. სასწავლო და კვლევით კომპონენტებს შორის არსებობს კავშირი, რომელიც ითვალისწინებს მაგისტრანტის მიერ ისეთი სამუშაოების ჩატარებას, რომელთა შედეგებს შეუძლია არსებული თეორიული ცოდნის საგრძნობი გაღრმავება; მათ საფუძველზე იგი შეძლებს ამოცანის დასმას, სპეციალური ლიტერატურის მოძიებას, მონაცემთა ბაზების შექმნას, მიღებული შედეგების გაანალიზებასა და საბოლოო ჯამში - სამაგისტრო ნაშრომის წარმოდგენას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. „მეტეოროლოგია, კლიმატოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
2. სილაბუსები;
3. ინტერვიუ დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„მეტეოროლოგია, კლიმატოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა თანხვედრაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. პროგრამა შესაბამისობაშია სწავლების მიზნებსა და შედეგებთან. სწავლების მეთოდოლოგია აკმაყოფილებს მოთხოვნებს და შეესაბამება მიზნებს. პროგრამაში წარმოდგენილი კომპონენტები: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, სწავლის უნარი და ღირებულებები, ადეკვატურია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურის აღმწერისა, უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მინიჭებული აკადემიური ხარისხი – გეოგრაფიის მაგისტრი, შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამის განხორციელებისას კურიკულუმის კომპონენტების ერთობლიობა: სასწავლო კურსების შინაარსი, კრედიტების მოცულობა, სემესტრების მიხედვით მათი გადანაწილების ლოგიკურობა, შეფასების კრიტერიუმები, ერთობლივად ქმნის იმის საფუძველს, რომ უზრუნველყოფილ იქნას პროგრამით დასახული შედეგების მიღწევა.

თუმცა, სასურველია გადაიხედოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ფორმულირება, კერძოდ, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის, დასკვნის უნარისა და ღირებულებების გაწერისას გამოყენებული ზოგადი ფორმულირება შეიცვალოს სპეციალობისათვის უფრო კონკრეტული ფორმულირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

1. სასურველია გადაიხედოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ფორმულირება, კერძოდ, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის, დასკვნის უნარისა და ღირებულებების გაწერისას გამოყენებული გადამეტებული ფორმულირება შეიცვალოს სპეციალობისათვის უფრო ზომიერი ფორმულირებით

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ სპეციალისტს გააჩნია პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ღრმა ცოდნა, ფლობს ისეთ ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს, რომელიც საშუალებას აძლევს დასაქმდეს პრაქტიკულ და სამეცნიერო-კვლევით სფეროებში, აქტიური მონაწილეობა მიიღოს რეგიონის წინაშე მდგარი ეკოლოგიური პრობლემების კვლევასა და გადაჭრაში. ამრიგად, სამაგისტრო პროგრამის მიზნები ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ხოლო სწავლის შედეგები უზრუნველყოფს მაგისტრის

კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დასაქმების ბაზარზე. შრომის ბაზარზე, ზოგადად, გეოგრაფიული განათლების მქონე სპეციალისტებზე მოთხოვნა საკმარისად მაღალია, რაც განპირობებულია გარემოსდაცვითი პრობლემების მნიშვნელობით. რაც შეეხება კლიმატოლოგის ბაზარზე მოთხოვნას, ის განპირობებულია კლიმატის ცვლილების პრობლემის აქტუალობით და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რიგი კონვენციებით, რომლებსაც მიუერთდა საქართველო და ამით აიღო აღნიშნული პრობლემების მოგვარების ვალდებულება რეგიონულ ასპექტში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით 1. ინტერვიუები დამსაქმებლებსა და კურსდამთავრებულებთან; 2.საგანმანათლებლო პროგრამა; 3. სილაბუსები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი 2005 წლიდან უნივერსიტეტი ახორციელებს „მეტეოროლოგია, კლიმატოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას. ცუდია, რომ პროგრამაზე ამჟამად მხოლოდ ერთი სტუდენტია, ისიც სტატუსაღდგენილი. საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების განსაზღვრაში გათვალისწინებულია პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელის გამოცდილება ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში ასპირანტებისა და მაძიებლების მომზადების დარგში, პროგრამის მეორე ხელმძღვანელის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში მუშაობის გარკვეული გამოცდილება, აგრეთვე, პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალის ცოდნა და გამოცდილება; დამსაქმებლების (ორგანიზაციების), საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნები. პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და პროგრამის შემდგომი განვითარების პროცესში გათვალისწინებულია დაინტერესებული მხარეების მოთხოვნები. სასწავლო დაწესებულების წარმომადგენლები, დამსაქმებლები და დარგის სპეციალისტები ცდილობენ კონსულტაციების საფუძველზე, ურთიერთშორის მჭიდრო კავშირის დამყარებას, რათა პროგრამის მიზნები და შედეგები შეესაბამებოდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

დამსაქმებელთა ჩართულობა ხორციელდება როგორც ორმხრივი თანამშრომლობის პირობებში, ასევე პრაქტიკის ორგანიზებით: ამ პროცესში დამსაქმებლების მხრიდან უნივერსიტეტი იღებს რეკომენდაციებსა და წინადადებებს სტუდენტთა ცოდნისა და უნარების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ; „მეტეოროლოგია, კლიმატოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის სწავლების შედეგების განსაზღვრასა და განვითარებაში ჩართული არიან გეოგრაფიის მიმართულების აკადემიური პერსონალი და მოწვეული მასწავლებლები, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მაცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო, დეკანი და თანაშემწეები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დეპარტამენტი, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ბიბლიოთეკა; პარტნიორი ორგანიზაცია – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, დამსაქმებლები, სტუდენტები, კუსდამთავრებულები; ეკონომიკური სექტორის/შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან ეწყობა შეხვედრები, კონსულტაციები და მცირემასშტაბიანი გამოკითხვები. ინტერვიუებმა აჩვენა, რომ დამსაქმებლები თავიანთი რჩევებითა და რეკომენდაციებით ეხმარებიან უნივერსიტეტს არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრასა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებაში. დამსაქმებელთა ნაწილი უნივერსიტეტის პროფესორია და თავადაცაა ჩართული პროგრამის განხორციელების პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით 1. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების ოქმები; 2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ოქმები; 3. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებების ოქმები; 4. გამოკითხვის ფორმები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		

მათთან პროგრამის შესაბამისობა			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „მეტეოროლოგია, კლიმატოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული საერთო სამაგისტრო გამოცდისა და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „მეტეოროლოგია, კლიმატოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამაზე სპეციალობაში მისაღები გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში. სამაგისტრო პროგრამაზე სპეციალობის მისაღები გამოცდების საკითხები ადეკვატურია, რათა პროგრამაზე მოხვდნენ შესაბამისი ცოდნის პირები. სასპეციალიზაციო გამოცდა ითვალისწინებს ზოგადი გეოგრაფიის კურსისა და ატმოსფეროს ფიზიკის ზოგიერთ საკითხს, რაც საჭიროა სწავლების შემდგომი გაგრძელებისათვის. საჯარო ინფორმაცია პროგრამაზე მიღების წინაპირობებისა და საკითხების შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.tesau.edu.ge
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით 1. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; 2. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; 3. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას, მასში ჩამოთვლილი ყველა აუცილებელი კომპეტენციის საფეხურებრივ განვითარებას. თითოეული სასწავლო კურსის სწავლებისას გამოყენებული მეთოდები მითითებულია შესაბამისი კურსის სილაბუსში. საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებულია სწავლების სხვადასხვა მეთოდები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ. სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.).

გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამაში „მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია“ გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები ხელს უწყობს სტუდენტს განუვითარდეს ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი და ღირებულებები. სხვადასხვა აქტივობის/აქტივობებისათვის კრედიტების მინიჭება ხორციელდება შესაბამისი კომპონენტის სილაბუსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. სამაგისტრო ნაშრომის მომზადება - კვლევების დამოუკიდებლად ჩატარების საშუალებაა, რომელთა შედეგებს შეუძლია არსებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საგრძნობი გაღრმავება. ნაშრომზე მუშაობისას სტუდენტს უვითარდება სპეციალური ლიტერატურის მოძიების, საველე სამუშაოებისა თუ ექსპერიმენტის ჩატარების, ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, მონაცემთა ბაზების შექმნის, აზრის მკაფიოდ და არგუმენტირებულად ჩამოყალიბების,ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის, მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენების, მიღებული შედეგების გაანალიზების, დასკვნების გამოტანისა და სხვ. უნარ–ჩვევები. ამრიგად, პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების შესაბამისი მოცულობა, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამაში დასახული მიზნების განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ფორმულირებისას, კერძოდ, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის, დასკვნის უნარისა და ღირებულებების გაწერისას, სასურველია მითითებული იყოს სპეციალობისათვის უფრო კონკრეტული ფორმულირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. „მეტეოროლოგია, კლიმატოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
2. სილაბუსები.

რეკომენდაციები:

1. ექსპერტთა რჩევაა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ იზრუნოს კვლევითი და საველე კომპონენტისათვის საჭირო თანამედროვე საზომი ხელსაწყოების შეძენაზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „მეტეოროლოგია, კლიმატოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია. „მეტეოროლოგია, კლიმატოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამაში საგნების თანმიმდევრობა ლოგიკურია, რაც კარგად ჩანს სასწავლო გეგმიდან. კურსებისა და სემესტრების მიხედვით სასწავლო კურსების შინაარსი თანმიმდევრულად ვითარდება ზოგადიდან კონკრეტულამდე, საბაზოდან სპეციალობამდე. პროგრამა შედგება 3 ძირითადი მოდულისა და არჩევითი საგნებისაგან, ასევე, სავალდებულო სამაგისტრო საგნებისაგან. პირველ სემესტრში მაგისტრანტი გაივლის ზოგადი მეტეოროლოგიის მოდულის საგნებს და ზოგად სავალდებულო საგნებს. მეორე სემესტრში სტუდენტი სწავლობს კლიმატოლოგიისა და კლიმატის ცვლილების მოდელის საგნებს და ასევე კურიკულუმისთვის სავალდებულო საგნებს. მესამე სემესტრში მაგისტრანტი სწავლობს ეკოლოგიის მოდულის საგნებს და ოთხ არჩევით სასწავლო კურსს. სწავლების მეოთხე სემესტრი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტს აქვს შესწავლის წინაპირობა, სტუდენტის დაშვება ამ კომპონენტზე ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც სტუდენტს შესრულებული ექნება წინაპირობით განსაზღვრული კომპონენტები. აღსანიშნავია, რომ ამა თუ იმ სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული წინაპირობა შეიძლება იყოს მხოლოდ სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კომპონენტები, რომლებიც სასწავლო გეგმის მიხედვით წინ უსწრებს ამ სასწავლო კურსის შესწავლას. „მეტეოროლოგია, კლიმატოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს წინაპირობების ცხრილი, რომელშიც დეტალურადაა მოცემული თითოეული სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობა. კერძოდ, ცხრილში თითოეულ სასწავლო კურსს (არსებობის შემთხვევაში) უწერია იმ სასწავლო კურსების ჩამონათვალი/კოდი, რომელთა შესწავლაც აუცილებელია მოცემულ სასწავლო კურსზე დაშვებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. „მეტეოროლოგია, კლიმატოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, წინაპირობების ცხრილი, სილაბუსები; 2. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„მეტეოროლოგია, კლიმატოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების სისტემა რეგულირდება ,,საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესისა და სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემის შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანებისა (№3, 2007 წ) და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ დებულების (ოქმი(№3, 02.03.2017) მიხედვით. სასწავლო კურსებში სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება ორი აუცილებელი კომპონენტის გათვალისწინებით: შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა. ამ კომპონენტების ქულათა ჯამი შეადგენს მაქსიმუმ 100 ქულას. სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება შემდეგი ფორმების საშუალებით: შუალედური შეფასება, დასკვნითი შეფასება. მათი ჯამია საბოლოო შეფასება, რომელიც შეადგენს მაქსიმუმ 100 ქულას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანების შესაბამისად, სილაბუსებში განსაზღვრულია შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური ზღვრები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც გადალახული აქვს შუალედურ შეფასებაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (ეს ზღვარი შეიძლება იყოს შუალედური შეფასების მაქსიმუმ 60%. კონკრეტული ზღვრები მითითებულია კონკრეტულ სილაბუსებში). საბოლოო შეფასება ხდება შუალედური და დასკვნითი ფორმების დაჯამების საფუძველზე. დასკვნით გამოცდაზე სტუდენტმა, ასევე უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (ეს ზღვარი შეიძლება იყოს დასკვნითი გამოცდის შეფასების მაქსიმუმ 60%. კონკრეტული ზღვრები მითითებულია კონკრეტულ სილაბუსებში), წინააღმდეგ შემთხვევაში არ დაითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულები და სტუდენტს გაუფორმდება შეფასება (F). შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდები ტარდება წერილობითი ფორმით უნივერსიტეტის ერთიანი საგამოცდო ცენტრის მეშვეობით, რომელიც მუშაობს შესაბამისი დებულების მიხედვით. ზოგადად, სტუდენტის მიღწევების შეფასება ხდება ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების (ECTS) სისტემით, რომელის მიხედვითაც შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებითი შეფასება: 1) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; 2) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; 3) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; 4) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

5) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; ორი სახის უარყოფითი შეფასება: 1) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. 2) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. შენიშვნა: სტუდენტის შეფასებაში პროცენტი (%) გაიგივებულია ქულასთან. შეფასების მეთოდები და ფორმები არის ადაპტირებული პროგრამის სასწავლო კურსისა და მოდულის სწავლის შედეგებთან ისე, რომ ისინი უზრუნველყოფს პროგრამაში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტთა შეფასების პროცედურები შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. შეფასების მეთოდები მრავალფეროვანია და განისაზღვრება სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. „მეტეოროლოგია, კლიმატოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები;
2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული დებულება ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი'';
3. სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების, გაფორმების, დაცვისა და შეფასების წესის შესახებ დებულება.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მაგისტრანტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს მაგისტრანტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დამატებით გამოცდას ნიშნავს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F. შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით. საველე პრაქტიკაში სტუდენტის შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით. (დეტალური ინფორმაცია მოცემულია საველე პრაქტიკის სილაბუსში.) სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას და ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). (დეტალური ინფორმაცია მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში.) უნივერსიტეტის რექტორი, ფაკულტეტის დეკანი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პერიოდულად აწყობენ შეხვედრებს სტუდენტებთან, სადაც განიხილება სტუდენტთა ცოდნისა და შეფასებების ნაკლოვანებები და დაგეგმილი გაუმჯობესების გზები, ხდება სტუდენტთა მოსაზრებებისა და შენიშვნების მოსმენა. მიღებული შეფასებების შესახებ სტუდენტების ინფორმირება ხორციელდება დროულად, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში ან უშუალოდ საგნის ლექტორის მიერ. შეფასების სისტემის შესახებ ინფორმაცია (დებულებების სახით) განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. სტუდენტთა გამოკითხვები; 2. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (www.tesau.edu.ge)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დღეისათვის სტუდენტი უზრუნველყოფილია სათანადო ინფორმაციით, რომელიც ხელს უწყობს მის ჩართულობას სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და კურიკულუმის შემუშავებაში. თუმცა, კურსდამთავრებულთა ნაწილს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა სილაბუსების შესახებ. თითოეული საგნის ფარგლებში გამოყოფილია ინდივიდუალური საკონტაქტო საათები, რისი საშუალებითაც სტუდენტი იღებს პროფესიული მიღწევებისთვის საჭირო რესურსებსა და ინფორმაციას. უნივერსიტეტში არ ფუნქციონირებს კარიერული განვითარების ცენტრი. ფაკულტეტები თავად აწყობენ დასაქმების ფორუმებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტების მოტივაციის ამაღლებასა და მათი ჩართულობის გაზრდას სასწავლო პროცესში. ინტერვიუზე მყოფი მაგისტრატურის სტუდენტების ნაწილმა და აწ უკვე კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს მათი ჩართულობა და გაწეული კონსულტა-ციები პროგრამის განახლების ეტაპზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. ინტერვიუ მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან; 2. ინტერვიუ მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიისს სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებუ-ლებთან; 3. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემით.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. კარიერული განვითარების ცენტრის დაარსება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. სემესტრის დასაწყისში პროფესორი ადგენს საკონსულტაციო საათების განრიგს, რომლის მიხედვითაც სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ კონსულტაცია მიიღონ პროფესორებისაგან სასწავლო კურსთან და ზოგადად, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. პროფესორ-მასწავლებლებს კონსულტაციების ჩატარება გათვლილი აქვთ მთელი სემესტრის (15 კვირის) განმავლობაში. კონსულტაციების ჩატარების დღე და დრო ასევე მითითებულია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1.პროგრამის სილაბუსები; 2.ინტერვიუ სტუდენტებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ფარგლებში ჩართული აკადემიურ და მოწვეული პერსონალის ჩართულობა სხვადასხვა კვლევით აქტივობებში დაბალია. რაც ერთი მხრივ, რეგიონში კვლევითი პროექტების სიმწირის შედეგია, მეორე მხრივ კი, გამოწვეულია სტუდენტების მცირე კონტიგენტით. სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ვიზიტის, დროს გაირკვა რომ ზუსტ და საბუნებუსმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები მონაწლეობენ საუნივერსიტეტო კონფერენციებში. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო გაცვლით პროექტებში. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს შესაბამისი მემორანდუმები ერასმუს +, თურქეთის და იტალიის რამდენიმე უნივერსიტეტთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები: 1. სასურველია, კვლევით აქტივობებში სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის აქტიურად ჩართვის უზრუნველყოფა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი ახორციელებდს შიდა სამეცნიერო კონფერენციებს, თუმცა რეგიონულ და საერთაშორისო კონფერენციებში სტუდენტებისა და პერსონალის ჩართულობა მწირია. ისევე, როგორც დაბალია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალოს ჩართულობა სამეცნიერო კვლევით პროექტებში. აღნიშნული სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული თურქეთისა და საფრანგეთის რამდენიმე უნივერსიტეტთან, თუმცა სტუდენტების/აკადემიური პერსონალის ჩართულობა დაბალია. უნივერსიტეტს გააჩნია ბუნდოვანი ხედვა აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. სამეცნიერო ჟურნალი; 2. მემორანდუმები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 1. სასურველია ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობის ხარისხის შემდგომი გაძლიერება, რაც გულისხმობს კოლაბორაციას მეტ უნივერსიტეტთან და კვლევით ორგანიზაციასთან.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	

4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს სასწავლო კორპუსი, რომელიც უზრუნველყოფილია აუდიტორიებით, სადაც განთავსებულია კურიკულუმის პრაქტიკული კომპონენტისთვის საჭირო ტექნიკური მოწყობილობები. კომპიუტერული კლასები დაკომპლექტებულია ინდივიდუალური სამუშაო მაგიდებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკის რესურსით. აღნიშნულ კორპუსში სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ისარგებლონ უფასო სამეცნიერო ბაზებით (EBSCO Publishing, Cambridge University), როგორც სამკითხველო დარბაზში არსებული კომპიუტერებით, ასევე ინდივიდუალური მოწყობილობების გამოყენებით. ადგილზე ვიზიტის დროს სისტემა მუშაობდა შეფერხების გარეშე,

თუმცა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტების უმრავლესობას არ ჰქონდა ინფორმაცია უფასო ელექტრონული რესურსების გამოყენების შესახებ. ასევე ვიზიტის დროს ვერ იქნა მოპოვებული სტატისტიკური ანალიზი, რომელიც ასახავდა სტუდენტების მიერ ბიბლიოთეკის რესურსების გამოყენების სიხშირეს. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან, რაც დადასტურდა დამსაქმებლებთან გასაუბრების დროს. თუმცა, ხშირ შემთხვევაში დამსაქმებლებსა და უნივერსიტეტს შორის შეთანხმება სიტყვიერია და არ ითვალისწინებს კონკრეტულ ვალდებულებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემადგენელი ინვენტარისა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი ბუღალტრული დოკუმენტები. 2. ვიზუალური დათვალიერება ადგილზე.
რეკომენდაციები: 1. სასურველია, დამსაქმებლების უფრო აქტიურად ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში, რაც გამყარებული იქნება შესაბამისი მემორანდუმებით
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: 1. სასურველია, სტუდენტების მეტი ნაწილი იყოს ინფორმირებული უფასო ელექტრონული ბიბლიოთეკის სისტემის შესახებ
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): აღნიშვნის ღირსია ბიბლიოთეკის დირექტორის პროფესიონალიზმი და მოტივაცია, რომლის დიდი მონდომებით ბიბლიოთეკასა და უნივერსიტეტის ყველა კორპუსში გამართულად ფუნქციონირებს უფასო ელექტრონული სამეცნიერო ბაზების (EBSCO Publishing, Cambridge University) სისტემები.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესს უძღვება აკადემიური პერსონალი შემდეგი შემადგენლობით: 2 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი და 4 მოწვეული დოქტორი. პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით. აკადემიურ თანამდებობებზე რექტორის ბრძანებით დანიშნული არიან კონკურსის წესით შერჩეული სათანადო სამეცნიერო ხარისხისა და სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილების მქონე პირები. შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, გარკვეული ვადით მოწვეული არიან დოქტორები. პროგრამით გათვალისწინებული სპეციალობის 18 სასწავლო საგნიდან 11 საგნის სილაბუსის ავტორი ერთი პიროვნებაა (5 სილაბუსი შედგენილი აქვს მოწვეულ პროფესორთან ერთად, 3 სილაბუსი - ასოცირებულ პროფესორთან ერთად, 1 სილაბუსი ასისტენტ პროფესორთან ერთად და 2 სილაბუსი - დამოუკიდებლად) - პროფესორი, რაც სასწავლო პროგრამას ნაკლებად მოქნილს ხდის.

ბოლო 10 წლის განმავლობაში აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები დაბეჭდილია საერთაშორისო და ეროვნულ სამეცნიერო ჟურალებში.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ პარტნიორი ორგანიზაციის - ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებიც, დარგის ცნობილი სპეციალისტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. ვიზიტის დროს წარმოდგენილი პუბლიკაციები და ბიოგრაფიული მონაცემები;
2. სამეცნიერო ჟურნალების ელ. ბაზები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. სასურველია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს უფრო მკაფიო ხედვა აკადემიური პერსონალის განვითარებისთვის;
2. მართებულად არ მიგვაჩნია მაგისტრატურაში ერთი აკადემიური პერსონალის მიერ შვიდზე მეტი სილაბუსის ავტორობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და მართვის სხვა სამსახურების ხელშეწყობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერიოდული მონიტორინგისა და სტუდენტთა გამოკითხვების შედეგების გათვალისწინებით.

პროგრამას უშუალოდ მოემსახურება კომპეტენტური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, კერძოდ, დეკანი, ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი. საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს ამომწურავი ინფორმაცია შეუძლია მიიღოს პროგრამის სპეციფიკაში კარგად გარკვეული ტუტორისგან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი მონაცემები;
2. ინტერვიუ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო კურსის მიერ შეთავაზებული სასწავლო მასალა უმეტესად შეესაბამება მოთხოვნილ სტანდარტებს, თუმცა რიგ სილაბუსებში აღინიშნა მოძველებული ლიტერატურის არსებობა, როგორც წამყვან სახელმძღვანელოდ, ასევე სალექციო კურსების შექმნისთვის გამოყენებული სასწავლო მასალა ცალკეულ შემთხვევებში მოძველებულია.

აღნიშნული მასალა მოიპოვება როგორც ბეჭდური სახით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ასევე ელექტრონილი სახით. სტუდენტებს აქვთ წვდომის შესაძლებლობა უფასო ონლაინ რესურსებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. სასწავლო ლიტერატურა და სასწავლო სილაბუსები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. კარგი იქნება ზოგიერთი სასწავლო კურსისათვის შეიქმნას რიდერები ან მოხდეს თარგმნა

თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „მეტეოროლოგია კლიმატოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის სრულყოფილად განხორციელების, პროფესორ–მასწავლებელთა და სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის მოტივაციის მხარდაჭერის მიზნით, პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს უნივერსიტეტის ბიუჯეტი. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე და სტუდენტთა მიერ მცირე მოცულობის სასწავლო-სამეცნიერო ხასიათის ნაშრომების, პროფესორთა ახალი სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა-დაბეჭდვაზე; სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე. „მეტეოროლოგია კლიმატოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამას ცალკე გამოყოფილი ბიუჯეტი არა აქვს. პროგრამის ბიუჯეტი ინტეგრირებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტში და ჩაშლილია შესაბამისი პუნქტების მიხედვით (ადამიანური, მატერიალური, ტექნიკური).
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. უნივერსიტეტის ბიუჯეტი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციაა უნივერსიტეტის აკადემიური პროგრამების მუდმივი მონიტორინგი და სრულყოფა, აკადემიური და კვლევითი აქტივობების ხარისხის უზრუნველყოფა, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება. უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სისტემატურად მოწმდება და ფასდება როგორც საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე მათ განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა პროგრამასთან და იმ სასწავლო კურსებთან, რომლებსაც ისინი ახორციელებენ კონკრეტულ პროგრამაში. პროგრამის ფუნქციონირების პროცესში მოხდება პროგრამის განხორციელების შეფასება. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც რამდენიმე ეტაპს მოიცავს. კერძოდ, სტუდენტების მიერ ხდება არა მარტო სასწავლო კურსის სილაბუსებისა და პროფესორ–მასწავლებელთა შეფასება, არამედ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირების მიზნით, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ერთად სისტემატურად აფასებს საგანმანათლებლო პროგრამებს და ახდენს მათ მონიტორინგს. უნივერსიტეტში არსებობს პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გამოკითხვის სპეციალური ფორმები, შეფასების კითხვარები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება გამოკითხვის პროცესში. გამოკითხვის დასრულების შემდეგ ხდება შედეგების გაანალიზება და რეკომენდაციების შემუშავება, რაც შემდგომში აისახება არა მარტო სასწავლო კურსების, არამედ საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფის პროცესშიც. ამის შედეგად განახლდა კომპიუტერული ტექნიკა და პროგრამული უზრუნველყოფა. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება-მონიტორინგი მიმდინარეობს განუწყვეტლივ და მისი შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამის შემდგომი სრულყოფის მიზნით. რეკომენდაციები წარედგინება აკადემიურ საბჭოს. პროგრამის მონიტორინგის მექანიზმი, რომლითაც მოწმდება პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პროფესორ-მასწავლებლების მიერ ჩატარებული ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ხარისხი დამაკმაყოფილებელია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. ინტერვიუს შედეგები;

2. უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკმენტაციები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლის პერიოდში გაგრძელდება სწავლების ხარისხის სისტემატური შიდა შეფასება. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტთან და შესაბამის ფაკულტეტთან ერთად სისტემატურად ახდენს ლექციებზე დასწრებას მეცადინეობების მონიტორინგისა და ხარისხის შეფასების მიზნით. ორგანიზაციულ საკითხებთან ერთად (რეგისტრაციის გავლა, მეცადინეობის დროული დაწყება, განხილული თემის შესაბამისობა სილაბუსში მოცემულ სასწავლო გეგმასთან და სხვ.), იგი ამოწმებს და კვლავაც გააგრძელებს პროფესორის შესაბამისი კომპეტენტურობის (ცოდნა, პიროვნული თვისებები, გასაგები და გამართული საუბარი, სალექციო მასალის ნათლად ჩამოყალიბება, სწავლების თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენება, ეთიკური ნორმების დაცვაზე ზრუნვა და სხვა) შემოწმებას. პროცესი ჩატარდება საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებისთვის, რომლის შედეგებიც საჯაროა და გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასება ქმნის ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმებს. ხარისხის უზრუნველყოფის ძირითად საზომს წარმოადგენს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესები. პირველი აკრედიტაციის დროს რეკომენდაციები ან რჩევები არ არის დაფიქსირებული, რაც სამწუხაროდ, საშუალებას არ გვაძლევს სათანადოდ შევაფასოთ განვლილი პერიოდი. ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, უცხოეთისა და საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. ინტერვიუს შედეგები; 2. უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკმენტაციები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: „მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია“
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 27

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
საბოლოო შეფასება			

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ვოდოლ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: „მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია“

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 27

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
საბოლოო შეფასება			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: